აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. აბაშა, 2022 წლის 22 ნოემბერი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: როინი კაჭარავა, მურთაზი ჯალაღონია,ქეთევან ლობჟანიძე,შოთა ჭანტურაია და ბაჩუკი ქვილითაია.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: მერაბ მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე.

მომხს: გ.კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე.

მომხს: გ.კუცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: მ. ჯალაღონიამ და რ. კაჭარავამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 78-ე მუხლის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ განიხილა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება-საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები გაიზარდოს შეძლებისდაგვარად.

2. გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობის" ხარჯები: კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოვლა-შენახვის ხარჯები.
3. გაიზარდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, კერძოდ, ომის ვეტერანთა დახმარების ხარჯები.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,
ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე: გ.კუცია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური
და ქონების მართვის კომისია

0200. აბაშა, უ.კაჭარავას ქ. N1

22.11.2022წ

დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 78-ე მუხლის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ განიხილა ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება-საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები გაიზარდოს შეძლებისდაგვარად.
2. გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,აბაშის კეთილმოწყობის" ხარჯები: კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოვლა-შენახვის ხარჯები.
3. გაიზარდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, კერძოდ, ომის ვეტერანთა დახმარების ხარჯები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,
ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის თავმჯდომარე: გ.კუცია